რედაქცია:
ფრეილინის ქუჩა, № 13.
ტფილისი
ხელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართევენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხ. გამავრცელ. საზ." წიგნის მაღაზიას.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა.

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან.
თითო ნომერი 3 კაპ.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 10 კ., მეოთხეზედ 5 კ.

Тифлисъ, Фрейлинская № 13
Редакція „Цнобисъ Пурцели".
Телефонъ № 363

## ტელეფონი რედაქციისა № 363.

ტელეფონი № 349



ტელეფონი № 349

სავაჭრო სახლი

## ს. პ. პავლოვი და კ.

ტფილისი, ლორის-მელიქოვის ქ., № 6, სასულიერო სემინარიის პირდაპირ.
მთელს ქვეყნიერობაზე განთქმული და საუკეთესო

### საკერავი მაშინები

ხელით სატრიალებელი 22 მან. 40 მანათამდე,
ფეხით სატრიალებელი ყოველ გვარ საქმობისათვის ადვილი და მსუბუქად დასატრიალებელი.
მაშინების სიკეთეს **სამის წლით** თავდებად ვუდგებით.
ფასის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილად.
Торговый домъ С. П. Павлова и К°.
(100—3 წ.)

## სასწავლებელი და პანსიონი

ა. ტერ-აკოფოვისა.

იყვანს მოწაფეებს სახლიდგან მოსიარულეებს და პანსიონერებსაც. ამზადებს მეხუთე კლასამდე შესასვლელად გიმნაზიებს, რეალურ სასწავლებელსა, კადეტთა კორპუსსა და სხვა სასწავლებლებში მისაღებად. ქართველებს ქართულსაც ასწავლიან. მოწაფენი მიიღებიან 6 წლისა და მეტისა. ადრესი: ტფილისი, განოვის ქუჩა, № 11.
(13—13)



## პანცერი და გლუხოვსკი

ტფილისი, სასახლის ქუჩა, სარაჯევის სახლი (ეზოში).
ახლად გაღებულ ქარხნის საწყობი

### საკერავი მაშინებისა

ნამდვილის **ზინგერ-ნაუმანის** და სხვა გამოჩენილ სისტემის მაშინები: ოჯახებისათვის და ხელოსნებისათვის. ფასები ქარხნისაა.
(15—ფ.—10)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე. კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—2 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

**ვ. მ. ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ქქ. ქალი ა. ი. დუნაევა-რუდენკო** 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და ბავშვებისა.

**ი. ფ. პრიტასევიჩი.** 12—1 საათ. სნეულებანი: ყურ-ისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკ.

**ა. მ. პუგინოვი.** 12—1 საათამდე. შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავადმყოფობისა, სამშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.

**ა. ზ. კარაპეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ი. ფ. პრიტასევიჩი.** 5—6 საათ. სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

**ა. მ. პუგინოვი.** 5—6 საათ. ორშაბათ, ოთხშაბათ და პარასკეობით.

**ა. გ. გურკო**, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინიგანი და კანისა.

**ა. გ. გურკო.** გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულადშ არდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი. (წ)

## სამკურნალო და ამბულატორია ს. ზ. თოფურიასი

ქუთაისში

სამკურნალოში 40 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგანს და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. .ბ თოფურია.**

საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს—**ფ. ა. გერრატი.**

დედათა ავადმყოფობას მკურნალი **ქალი მ. თ. კოგანი.**

თვალების ავადმყოფობას—**ი. ა. ვარშავსკი.**

ამბულატორიაში არის კაბინეტი, საქიმიო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისთვის და მასაჟისთვის.

ამკურნალოს დირექტორი **ს. ზ. თოფურია.**
(წ.)

ქართული თეატრი
1896 წ. კვირას, 22 დეკემბერს
ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ ავალიშვილისა, და ყიფიანის მონაწილეობით წარმოდგენილ იქნება

## იაკობელები

ანუ

### სამეფო ტახტისათვის

დრ. 5 მოქმედ. თარგ. პ. ყიფიანისა და ყიფშიძისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქქ. ავალიშვილისა, ჩერქეზიშვილისა, გამყრელიძისა, კარგარეთლისა, კუნდელი, ბბ. ყიფიანი, სვიმონიძე, გედევანოვი, მარჯანიშვილი, გამყრელიძე, შათირიშვილი, კანდელაკი, ადამიძე, კარბელი, საფაროვი, თამაზიშვილი, გვარამაძე და სხვანი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.
დასაწყისი 8 საათზე
რეჟისორი ვ. ალექსი-მესხიშვილი.
ადმინისტრატორი კ. შათირიშვილი.

## ექიმი

### უ. მ. ჩიქოვანი

ავადმყოფთ იღებს ყოველ დღე დილის 11—12 საათამდე და საღამოს 6—7 მდე.
მიხეილის ქუჩა, № 16.

## კბილის ექიმი

### ვ. ი. პიპინაძე

ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინოვისა, 21, „ივერიის" რედაქციის ქვეშ.
ავადმყოფებს მიიღებს დილის 9—3 და საღამოს 4—7 საათამდე.

Вышла изъ печати и продается новая книга:

## ЭСКИЗЫ И ЭТЮДЫ

Ил. Хонели (И. Л. Бахтадзе).

Содержаніе: Отъ автора.—„Доглаури".—Быль—Какъ „въ старину живали дѣды".— Князь-отщепенецъ. — Рамхотъ.— Горе Исаіи.—Въ мірѣ фантазіи.—Легенда о Гандегили. — Амцуха-леки.— Смерть.— Сновидецъ.—Дервишъ.—Имеретинскій катеръ.—На цѣпи.—Кулисъ-карскій кюре.— Спасенная святыня.

ЦѢНА 1 РУБЛЬ.

Съ требованіями обращаться: въ контору редакціи „Кавказа", въ канцелярію „Общества распространенія грамотности среди грузинъ", а также въ книжный магазинъ г. Бѣгичева.

Въ Кутаисѣ изданіе продается въ книжныхъ магазинахъ гг. Чиладзе и Церетели.

Печатается и скоро выйдетъ въ свѣтъ брошюра того-же автора: „Къ 100-лѣтію Крцанисской битвы".

Содержаніе:—Къ 100-лѣтію Крцанисской битвы—Знамя Азатъ-Хана.—Герой Аспиндзи предъ судомъ „Хечагога".

ЦѢНА 30 КОП.

# დეპეშა

გაზეთ „ცნობის ფურცლისა“.

(„რუსეთის სატელეგრაფო სააგენტოსაგან“).

17 დეკემბერი.

**სოფია.** სტამბულოვის საქმე. საქმის გარჩევის დაწყებამდე თავმჯდომარემ განაცხადა, რომ გუშინ სასამართლოდგან სტამბულოვის რევოლვერი მოიპარესო. პროკურორი ამტკიცებს, ბრალდებულებმა თითონ გამოაცხადეს განზრახვა სტამბულოვის მოკვლისაო, ტიუფიქჩევი იყო მოთავე და სულის ჩამდგმელი ამ საქმისა და მანვე იხმარა ყოველ გვარი ღონის ძიება ამ განზრახვის ასასრულებლადო.

**ლონდონი.** გავანიდგან იუწყებიან, რომ კუნძულ კუბაზედ აჯანყებულებმა დაამარცხეს ესპანელთა ჯარი. ოფიციალურ ცნობებით ესპანელთა მხრივ მოკლულ იქმნა რამდენიმე ოფიცერი და 115 ჯარის კაცი, კერძო ცნობებით კი ესპანელთა ზარალი უფრო დიდია თურმე.

**ბომბეი.** ჭირი თან-და-თან ძლიერდება. უკანასკნელს კვირას არც ერთი ევროპიელი არ მომკვდარა. ჭირის გაჩენიდგან ავად გახდა 2,094 კაცი, გარდაიცვალა 1,492. მრავალნი ქალაქიდგან მიდიან.

# ახალი ამბავი

⁂ **თავ. გ. ს. გოლიცინი,** ახალი მთავარ-მართებელი კავკასიისა. გოლიცინების გვარი ძველია. პირველი გოლიცინი იყო ლიტვის თავადი გედემუნი. მისი შვილი ნარიმუნდი მოინათლა მეთოთხმეტე საუკუნეში და სახელად ეწოდა გლები. გლები თავადი იყო ნოვგოროდისა, ლადოგისა და სხვა. გოლიცინის წინაპრებს ყოველთვის უპირველესი ადგილი ეჭირათ რუსეთის სახელმწიფოში. გოლიცინები იყვნენ გამოჩენილი სარდლები, დიპლომატები და ადმინისტრატორები.

თავადი გ. ს. გოლიცინი დაიბადა 1838 წელს, მაშასადამე, ეხლა 58 წლისაა. განათლება მიიღო პაჟების კორპუსში და მერე სწავლა დაამთავრა სამხედრო აკადემიაში. სამსახური დაიწყო 1856 წელს. მას შემდეგ გ. ს. გოლიცინი მრავალ თანამდებობას ასრულებდა და თანდათან დაწინაურდა სამსახურში. 1885 წელს თავადი გ. ს. გოლიცინი დანიშნულ იქმნა სახელმწიფო საბჭოს წევრად. გ. ს. გოლიცინი გენერლია ინფანტერიისა და რუსეთის ყველა ორდენი აქვს ნაბოძები, მათ შორის ორდენი ალექსანდრე ნეველისაც.

ახალი მთავარ-მართებელი წინადაც ყოფილა კავკასიაში. 1865—72 წლ. იგი ქართულ პოლკის უფროსად იყო. ამ წლის ზაფხულს გ. ს. გოლიცინმა დაიარა დაღესტანი და თერგის ოლქი, ქუთაისის გუბერნია და ჩრდილო კავკასია, რათა ადგილობრივ შეეტყო კავკასიის ყოველგვარი საჭიროება.

სენატში და სახელმწიფო საბჭოში გ. ს. გოლიცინი დიდს მონაწილეობას იღებდა ყოველგვარ საქმეში და განსაკუთრებულს ყურადღებას აქცევდა კავკასიის საქმეებს.

გ. ს. გოლიცინს ცოლშვილი არა ჰყავს. მისი უმცროსი ძმა კავკასიაში სცხოვრებს. ამას წინად მან შეისყიდა შახნაზაროვისაგან ყარაარხის მამული განჯის გუბერნიაში და როგორც კარგი მეურნე და ღვინის მკეთებელი, მშვენივრად აწარმოებს მამულს.

⁂ **დახმარება სკოლებს.** მომავალ წლისათვის ოზურგეთის სამოქალაქო, ბათუმის სახელოსნო და ფოთის სამოქალაქო სკოლების სახელოსნო განყოფილებისთვის გადადებულ იქმნება 3 ათასი მანათი, 1000 მანათი თითო სასწავლებლისათვის.

⁂ **სათავად-აზნაურო ბალი.** 1897 წელს, 6 იანვარს „ტფილისის კლუბში“ გაიმართება ჩვეულებრივი ბალი ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის სასარგებლოდ. ბალის გამგედ იქმნება ამავე სკოლის გამგე კომიტეტის თავმჯდომარის თანაშემწე კნეინა მარიამ ვახტანგის ასული ჯამბაკურ-ორბელიანისა.

⁂ **ელექტრონის სინათლე.** რადგანაც გაუთავებელი ხდება ქალაქის ქუჩების განათება ელექტრონის შემწეობით, ამიტომ ზოგიერთნი დაწესებულებანი, უიმედო მოლოდინით მოღალულნი, ჰმართავენ თავიანთთვის ელექტრონით განათებას. სხვათა შორის, ამ დღეებში მოუვიდა დინამო-მაშინები ცხენის რკინის გზის უსახელო საზოგადოების გამგეობას, რომელიც აპირობს გაანათოს ელექტრონით თავისი სადგური, „პარკი“. გაზეთები-კი იწერებოდნენ, ვითომც ბელგიის საზოგადოებას მოსვლოდეს ელექტრონის ვაგონები და ვითომც მალე ასეთს ვაგონებს გამოსცდიან, თუ რამდენად მოსახერხებელია მათი ტარება ეხლანდელ ლიანდაგზედო; მაშინ როდესაც ელექტრონის ვაგონების მუშაობისთვის საჭიროა ხარჯი თითქმის ერთ მილიონამდე მაშინების დასადგმელად და შესაფერ ლიანდაგის დასაფენად.

⁂ **ქალაქის ამომრჩეველთა სიები.** მკითხველმა იცის, რომ ეხლა გამგეობა ადგენს ამომრჩეველთა სიებს. ამ სიებში მოჰყვებიან მხოლოდ ის პირნი, რომელთა მამულებიც დაფასებულია არა ნაკლებ 1500 მანათისა და რომელნიც წელიწადში იხდიან დაფასების ხარჯს არა ნაკლებ 11 მანათისა და ათი შაურისა. მაშასადამე, სიებში არ მოჰყვებიან ის სახლის პატრონები, რომელთა მამული ქალაქის წიგნებში ჩაწერილია ხსენებულ ფასებზედ, გინდაც რომ მამული ხელ ახლად იყოს გადაკეთებული და ჰღირდეს 1500 მანათზედ ძვირად, უკეთუ სახლის პატრონები წინადვე არ ეცდებიან და სიების გათავებამდე არ შეატყობინებენ გამგეობას, რომ მათ შეაკეთეს თავიანთი სახლები. ვისაც უნდა, რომ მოჰყვეს სიებში, საჭიროა ეხლავე აცნობოს გამგეობას და ხელ მეორედ დააფასებინოს თავისი მამული. თუ მამულის ფასი აღმოჩნდება 1500 მანათი ან მეტი, მაშინ სახლის პატრონის ჩაწერვას სიაში ვერ დაუშლის ის გარემოება, რომ აქამომდე იგი იხდიდა 11 მანათისა და 50 კაპეიკზე ნალებ ხარჯს.

⁂ **რეალურ სასწავლებლის აქტი.** კვირას, 22 დეკემბერს, ტფილისის

---

## ვაჟრების საყურადღებოდ.

დემიდოვები

ანუ

მადნეულობის წარმოება რუსეთში.

(შემდეგი *)

პირველი დემიდოვები, როგორც ვსთქვით, ვაჟ-კაცები იყვნენ, მაგარი, მძლავრი ხასიათისანი, დაუღალავი მუშაკნი. ამათს შთამომავლობაზედ კი ესვე არ ითქმის... ის უთვალავი სიმდიდრე, რომელიც მამებმა დაუტოვეს შვილებს, ამათ არ განუფანტნიათ, მაგრამ მომატებითაც ცოტა მიუმატეს, რადგან არ იყვნენ ისეთი გამრჯელნი, როგორც მამები. ისინი ალიარებდნენ, რომ ჩვენი სიმდიდრე—თვითონ მოიტანს სიმდიდრეს; ხელიც რომ არ გავანძრიოთ, მაინც მილიონები შემოგვივა ყოველ წელსო და აღარ მიჰყვნენ მამების გზას...

აკინფის შვილი ნიკიტა ჰგვანდა თავის მამას მხოლოდ ბოროტ ხასიათით—იგი ულმერთოთ ევპყრობოდა თავის გლეხებს და მასთანვე მიწერ-მოწერა ჰქონდა საფრანგეთის გამოჩენილ მწერალთან ვოლტერთან. მეორე შვილი პროკოპი განთქმულ იყო თავის ახირებულობით, რომელიც ხან და ხან სიგიჟეს წააგვანდა; პავლე, აკინფის შვილის-შვილი, გრიგოლის ძე, ძალიან ქველ-მოქმედი იყო; ამან დაარსა იორასლავში დემიდოვის ლიცეა, ანუ გიმნაზია, თავის ხარჯით და ბოლოს ანატოლმა და პავლე დემიდოვებმა, თავად სანდონატოებმა (ეს თავადობა ამათ იტალიაში იყიდეს) მთელს ევროპაში გაითქვეს სახელი თავიანთი მდიდრულ ცხოვრებით, ქველ-მოქმედებით, სურათებისა და ძვირფასი კოლლექციების მოგროვებით.

ამათში ნიკიტა აკინფის ძე მაინც ყველაზედ უფრო მუშა კაცი იყო. ამან დაარსა რამდენიმე ახალი ქარხანა მადნებზედ, გამოიწერა დახელოვნებული ხელოსანი და მამებისაგან დაწყებულ საქმეს თვალ-ყურს ადევნებდა. როგორც მამა მისი, ესეც მიიღებდა ხოლმე მთელ რუსეთიდგან გამოქცეულ მკვლელებს და ავაზაკებს თავის მადნებზედ სამუშაოთ. პეტერბურგში მოვიდა ცნობა, რომ ამისთანა ამბები ხდება იქა და მაშინვე ფიცხელი გამოძიება დაინიშნა. ნიკიტამაც გაიგო ეს ამბავი თუ არა, ფიცხელი ბრძანება გასცა: ყველა მის მადნებზედ გამოქცეულების შეკრება და აკლდამებში ჩამწყვდევა. თუ საჭიროება მოითხოვს, არ ამოვიდნენ იქიდგან, სამუდამოთ შიგ ჩაახრჩვეთო. როდესაც რევიზორი ჩამოვიდა მადნებზედ, ყველაფერი წესიერად ნახა და ნიკიტაც გაამართლა, მაგრამ აკლდამებში ჩამალულთ კი მზის სხივი აღარ დაუნახავთ.

ამისთანა კაცს მიწერ-მოწერა ჰქონდა ვოლტერთან! რა უნდა მოეწერა ვოლტერს ამ გვარი კაცისათვის, იმ ვოლტერს, რომელიც მთელს ევროპაში ცნობილ იყო, როგორც მფარველი და ქომაგი ადამიანის უფლებებისა, დაჩაგრულთათვის მხნე კალმით დამხმარებელი!

ეს მიწერ-მოწერა დაკარგულია და ამიტომაც არავინ იცის წერილების შინაარსი. სამაგიეროთ ნიკიტას დღიური არის დარჩენილი. ამ დღიურში იმას აწერილი აქვს თვისი მოგზაურობა საზღვარ გარეთ... ის ორჯელ იყო ევროპაში... დღიურიდგან ვტყობულობთ, რომ იმას მაინც და მაინც არაფრად მოსწონებია ევროპა... სხვათა შორის პარიზელ ქალებზედ აი რასა სწერს: «ამათი სილამაზე საათის მეხანიზმოს გავს, რომელიც ყოველ დღე უნდა მომართო, სწორედ ამათი სილამაზეც ყოველ დღე ირთვება სხვა და სხვა წასასმელებით, ფერ-უმარილით და პომადებით“—რაღა საჭიროა ითქვას, რომ თავის ერთად ერთს ვაჟს ნიკოლას ამან უფრო მეტი ქონება დაუტოვა, ვიდრე თვითონ მიიღო. საკმარისია ვსთქვათ, რომ ნიჟნე-ტაგილის მადნები, რომელშიაც ოქრო, პლატინა აღმოჩნდა, შეადგენდა მარტო ნიკოლაის საკუთრებას. თავადნი სანდონატო, განთქმულნი ურიცხვის ქონებითა, პირდაპირი შთამოება არიან ამ ნიკოლაი დემიდოვისა.

ნიკიტა აკინფის ძეს ძალიან სურდა დიდ-კაცობაში, არისტოკრატობაში ფეხი შეედგა, ბევრ ფულსაც ხარჯავდა ამათზე. თავისი ორი ქალი მიათხოვა დიდ-კაცებს და ამის გამო მიიღო ჩინი „დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკისა».

ამის ძმა პროკოპი კი სულ სხვა ხასიათის კაცი იყო.

(შემდეგი იქნება)

*) იხ. „ცნობის ფურცელი“ № 60

რეალურ სასწავლებელში დანიშნულია წლიური აქტი. მათემატიკის მასწავლებელი ს. კოზიულკინი წაიკითხავს თავის წერილს შესახებ ფიზიკის ეხლანდელ მეთოდებისა. დირექტორი ბ-ნი ტირიუტინი წაიკითხავს 1895—96 წლის ანგარიშს სასწავლებლისას. ბოლოს კარგად მოსწავლე მოწაფეებს საჩუქრებს დაურიგებენ.

*** **ნავთლუღის სკოლა.** ამ ჟამად ნავთლუღის სკოლაში სულ 30 მოწაფე სწავლობს. ამის მიზეზი ის არის, რომ ნავთლუღის მცხოვრებნი ძლიერ ღარიბნი არიან,—და თუმცა სწავლის ფასი არც თუ ისე ბევრია,—წელიწადში ექვსი მანათი, მაგრამ ამ ფულის გადახდაც უჭირთ. ავლაბრის სკოლაში კი ყმაწვილების გაგზავნა სულ შეუძლებელია. ჯერ ერთი რომ ეს სკოლა შორს არის და მეორეც, ამ სკოლაში თვით ავლაბრელ მცხოვრებთათვისაც-კი არ არის საკმაო ადგილი.

საჭიროა ამიტომ, რომ ნავთლუღის სკოლაში სწავლის ფასი შეამცირონ.

*** **ჰამლეტის ახალი თარგმანი რუსულ ენაზე.** სატახტო გაზეთებში სწერენ, რომ ცნობილს პოეტს «კ. რ.»-ს ლექსად გადუთარგმნია შექსპირის «ჰამლეტი» და, როგორც ამბობენ, ამ მოკლე ხანში ლეიბ გვარდიის იზმაილოვის პოლკის აფიცრები წარმოადგენენ ხსენებულ პიესას მხედართა კლუბშიო.

*** **ბეგრის გადახდა.** ახალის წესდებულების ძალით მომავალში ბეგრის გამორთმევა მინდობილ ექნება სამ პირთ: სამაზრო პოლიციის წარმომადგენელს, საბეგრო ინსპექტორს და მომრიგებელ შუამავალს.

*** **ზომები მიმოსვლის გასაძლიერებლად.** გზათა სამინისტროს გადაუწყვეტია დამდეგს წელიწადს რკინის გზებზე მიმოსვლის გასაძლიერებლად შეუკვეთოს 877 საბარგო და 78 სამგზავრო ორთქლ-მავალი და აგრეთვე 10,000 საბარგო ვაგონები, 300 სამგზავრო ვაგონი და 200 ცისტერნი (ნავთის ქვაბები).

*** **ლოთების ექიმი.** ტფილისში ჩამოვიდა ბ-ნი ალავერდოვი, რომლის შესახებაც პეტერბურგის გაზეთები სწერდნენ: ძლიერ კარგად არჩენს ლოთობასო.

*** **ახალი რკინის გზები.** პეტერბურგიდგან დეპეშით იუწყებიან, რომ მთავრობამ გადასწყვიტა მოახდინოს გამოკვლევა რკინის გზების გასაყვანად: 1) ქუთაისიდგან ოსეთზე და ალაგირზე სადგურ დარგკოხამდე და 2) სოხუმიდგან კლუხორზე სადგურ ნევინომინსკამდე.

*** **ტფილისის კადეტთა კორპუსის** შენობის ზედამხედველად დანიშნულ იქმნა დაღესტნის ცხენოსანთა პოლკის შტაბ-როტმისტრი რედინი.

*** **† პოლ არენი.** საფრანგეთში გარდაიცვალა საუკეთესო მწერალი პოლ არენი. პირველი მისი პიესა „Pierrot heritier“ პირველათ ოდეონის თეატრში წარმოადგინეს.

დიდი სახელი მოიპოვა პოლ არენს პატარა მოთხრობებმა, რომლებიც იბეჭდებოდა ჟურნალებში: „Gil Blas“; „Scho de Paris“ და «Journal»-ში. მისი საუკეთესო მოთხრობები ცალკე წიგნებათ არის დაბეჭდილი.

*** **უბედურება მდინარე დნეპრზედ.** სიმფეროპოლიდგან დეპეშით იუწყებიან, რომ მდინარე დნეპრზედ ბორანი გადაბრუნდა. დაწვრილებითი ცნობები ჯერ არ არის. ამბობენ, ძლიერ ბევრი ხალხი დაილუპაო.

*** **ყაჩაღის ჩამოხრჩობა.** მცირე აზიაში, დაბა კირკ-გაგაზში დაიჭირეს ყაჩაღი ისმაილ-ჯემილალი, რომელსაც მეტ სახელს ყარაბაბ-გაიდუკს ეძახდნენ (შავთავა). ეს ყაჩაღი 14 წლისა ყოფილა, ავაზაკობა რომ დაუწყია და თავის ხელით 26 კაცი მოუკლავს. ყაჩაღს ჩამოხრჩობა მიუსაჯეს და ჯალათმა განაჩენი აასრულა. $1^1/_2$ საათის შემდეგ ექიმი მოვიდა ავაზაკის სიკვდილის შესამოწმებლად და, წარმოიდგინეთ მისი განცვიფრება, ჩამომხრჩვალი ცოცხალი და უვნებელი დაუხვდა. თურმე ნუ იტყვით, ჯალათმა რომ თოკი მოახვია ყელზედ და ძირს გადმოაგდო, ყაჩაღმა შეუმჩნევლად კბილები ჩასჭიდა თოკსა და მთელი $1^1/_2$ საათი ისე ეკიდა სარჩობელაზედ. თურმე იმედი ჰქონდა, საღამოთი ამხანაგები მოვლენ და განმათავისუფლებენო. ყაჩაღი მეორედ ჩამოახრჩეს და ეხლა-კი ველარ გადარჩა სიკვდილს.

*** **ირლანდიის უკმაყოფილება.** გამოაშკარავდა, რომ ინგლისი მეტად უსამართლოდ ეპყრობა ირლანდიას ხარჯის აკრეფაში. ირლანდიელები ამბობენ: ინგლისმა პატივი უნდა სცეს ირლანდიასთან ხელშეკრულობას, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი თავის კანონიერს ძალას დაჰკარგავსო. შოტლანდიელნი და უელის სამთავროს მცხოვრებნიც ჩივიან, ინგლისი უსამართლოდ გვექცევა ხარჯის აკრებაშიო.

*** **ემილი ვოლფი.** შტუტგარდში (გერმანიაში) გარდაიცვალა განთქმული აგრონომი ე. ვოლფი, რომელსაც მთელი განათლებული ქვეყანა იცნობდა. 1854 წლიდგან მთელის ორმოცის წლის განმავლობაში ვოლფი პროფესორად იყო გოჰენჰეიმის სამეურნეო ინსტიტუტში. ვოლფმა მრავალი სამეცნიერო კანონი გამოიგონა შესახებ პირუტყვების კვებისა.

**რკინის გზის კომისია.** მომავალ წლის გაზაფხულზედ ტფილისში ჩამოვა რკინის გზის კომისია, რომელმაც ამიერ კავკასიის რკინის გზა ისე უნდა შეაკეთოს, რომ სხვადასხვა მიზეზებისა გამო, ლიანდაგი არ გაფუჭდეს ხოლმე და ბაქოსა და და ბათომს შორის მიმოსვლა არ იყოს ხოლმე მოსპობილი, რაიცა აქამდე ხშირად ხდებოდა.

*** **შეწირულება.** ჩვენ მივიღეთ შემდეგი წერილი შემოქმედის სახალხო სამკითხველოს დამაარსებელთაგან თავ. კონ. გურიელისა და თეოდ. ჩხარტიშვილისაგან: ბ. რედაქტორო, უმორჩილესად გთხოვთ, ნება მიბოძოთ თქვენის პატივცემულის გაზეთის საშუალებით უგულითადესი მადლობა გამოვუცხადოთ: ქ.—ბ. ფ. ბერეჟიანისას, რომელმაც შემოსწირა შემოქმედის სახალხო სამკითხველოს თექვსმეტი ცალი ქართული წიგნაკები და ბ. ნიკო გოგიტიძეს, რომელმაც შემოსწირა ზემოხსენებულს სამკითხველოს ექვსი ცალი ქართული და რუსული წიგნები.

*** **ხევი** (დუშეთის მაზრა): ჩვენში დიდი თოვლი მოვიდა, საქონლის საჭმელი ძვირი არის; კავკავში კარანტინის მიზეზით საქონელს არ უშვებენ, იმის გარჩევაშიაც არ შედიან, რომ საქონელი უჭირველი არის და არც საქონლის ჭირი სადმე არის ჩვენს მთებში. ამ უსაქმლობას ზედ ერთვის სახელმწიფო ხარჯის კრეფაც და ხალხი მეტად შევიწროებულია. შარშან ხმა გავარდა ხალხში, რომ უმაღლესის მანიფესტის ძალით გლეხებს ერთის წლის გადასახადი ეპატივაო, მაგრამ ამ იმედმა უმტყუნა, რადგანაც გლეხების ყურამდე არ იყო მიღწეული და განმარტებული, თუ ვის რა გადასახადი ეპატივა და რა შეღავათი რითიმე ვისმე მიეცა მანიფესტის ძალითა. ერთი უბედურება ის არის, რომ ხარჯის ფულს რომ იხდის გლეხი, ხელში წესიერი ბარათი (კვიტანციები) არ ეძლევა. ამ დღეებში სოფ. ფანშეტში მცხოვრებლებსა და მამასახლისს ერთი ალიაქოთი ჰქონდათ. მამასახლისი ძალ-დატანებითა სთხოვდა ამდენ-ამდენი გამოიღეთ კომლზედაო. ფანშეტელები იმას უპასუხებდენ, რომ არც ძველის წლის ბარათები გვაქვს ხელშია, არც ის ვიცით, რამდენი კომლი ვწერივართ აღწერაშიო და არც ის ვიცით, წელს რამდენი გვაქვს მთავრობისაგან შემოწერილიო. ეს სამი წელიწადია „ყალანს“ ვაძლევთ და ბარათებს-კი არვინ გვაძლევსო; აგრეთვე ჩვენა, არშელებმა და ცდოელებმა თხუთმეტის თუმნის შეშა დაუდგით ჯარსაო ზეგარით, სახლებში მოტანილი შეშა საშინაოთ აღარა დაგვრჩა-რაო და არც ფული გამოგვივიდა და არც ვინ კვიტანციები მოგვცაო. თანაც ძველ აღწერის დროს ცოტა კომლებათ ვირიცხებოდითო, ეხლა-კი ხუთი ძმა ხუთ კომლათ სცხოვრებს და ყალანს-კი საკომლოთა გვთხოვენო, მაშასადამე, თუ არ გვატყუილებთ, რატომ ბარათებს არ გვაძლევთო. მამასახლისი ამას უპასუხებდათ:

— ძველის წლისა მე არა ვიცირა, რადგან სხვა იყო მამასახლისიო და ეხლანდელი-კი შეჰკრიფეთ იმდენივე, რამოდენიც წინა წლებში შეგიკრეფიათ, მე ნურაფერს მომცემთ, თქვენის ფეხით ქვიშეთის ბოქაულს ჩაუტანეთ და ჩააბარეთო. აი ამ საცოდაობაში არის დღეს ბუნების მხრიდამაც დაჩაგრული მთის ხალხი.

## პოლიციის მატიანე

—

16 დეკემბერს, ნაშუადღევის 3 საათზედ, კოჩუბეის ქუჩაზე, დუშეთის მაზრის მცხოვრები დიმიტრი სოსიკას ძე კოლოლაშვილი შეხვდა თელავის მაზრის მცხოვრებს ალექსანდრე გუტიშვილს, რომელთანაც მტრობა ჰქონდა და ხანჯლით მძიმედ დასჭრა. დაჭრილი სამკურნალოში წაიყვანეს. ჭრილობა საშიშია.

—

17 დეკემბერს პოლიციაში მივიდა ქვრივი ეკატერინე ყარაგეზოვისა და განაცხადა: ჩემს სახლში არ ყოფნის დროს მომპარეს 176 მანათი ფული და 1800 მანათის ნივთებიო. ეჭვი ჩემს მზარეულზე მაქვს. ყარაგეზოვის მზარეული შორაპნის მაზრის მცხოვრები გიორგი ლამბაშიძე დააპატიმრეს. გამოძიება სწარმოებს.

—

14 დეკემბერს პოლიციის მოხელემ ოსიპოვმა შეიპყრო სოფ. გლდანის მცხოვრები გიორგი ბეროზაშვილი, რომელსაც ბრალდება საფრანგეთის ქვეშევრდომის იულია ელბას გაძარცვა, რომელსაც ბეროზაშვილი წარუდგინეს და მან იცნო: სწორედ ეგ დამეცა თავს 8 დეკემბერსაო. ბეროზაშვილი დააპატიმრეს.

## რკინის გზის ამბები.

—

განჯა. 13 დეკემბერს, ღამის 12 საათზე, 444 ვერსტზე ბუტკას დაეცნენ რამდენიმე ბოროტ მოქმედნი. ბუტკის ყარაულმა ამ დროს მომავალი მატარებელი №46 გააჩერა. ამ შემთხვევამ ბოროტ მოქმედნი შეაშინა და თოფის სროლით გაიქცნენ და დაიმალნენ. ეს გარემოება გზის უფროს ინჟინერმა სტრელკოვმა აცნობა როგორც გზის უფროსებს, აგრეთვე მართებლობას.

—

რიონი. 15 დეკემბერს, როდესაც მანევრებს აკეთებდენ, ერთი ვაგონი, მოხსნილი სხვებისაგან, შეცდომით იყო გაშვებული იმ ლიანდაგზე, რომელზედაც იდგა მატარებელი და ვაგონები. ვაგონები დაეჯახნენ ერთი მეორეს, და რამდენიმე დაიმტვრა. კაცი არავინ დაშავებულა.

—

უბედური შემთხვევა ყარსის რკინის გზაზე. 5 დეკემბერს, როდესაც მოიჯარადრე დ—სია ფულს ურიგებდა მუშებს, ამ დროს ვიღაცეებმა დაუშინეს კანტორას ქვები და ფანჯრები ჩაამტვრიეს. მოიჯარადრეს ახლდა ჩაფარი,

გაჰკაჰკელი ოსი, გვარად დუდაროვი. მოიჯარადრემ უთხრა ჩავარს: მომკლავენ და მიშველეო. ჩავარმა მოიხსნა თოფი და მოჰკლა ერთი თათარი მეშა და ორი დასჭრა. ამ უბედურ შემთხვევის შემდეგ ოსი დუდაროვი შეიპყრეს და სოფ. ყარაჯალისში ბოქაულს მიჰგვარეს. გამოძიება სწარმოებს.

—

ამ თვის 15-ს, სად. ნავთლუღიდგან თბილისში მომავალი სამუშაო მატარებელი, გზის უქონლობის გამო, გააჩერეს თბილისის სადგურის ახლო წითელ ფარანთან. როდესაც გზა განთავისუფლეს, მემაშინემ ორჯელ დაუსტვინა წასასვლელად. ამ დროს ერთი მალაკანი, ავჭალის ქუჩიდგან მომავალი, ამოვიდა ლიანდაგთან. ის იყო მატარებელი უნდა დაძრულიყო, როდესაც მალაკანი გაქანდა და ლიანდაგზედ ვაგონებს ქვეშ თავი გადადვა. ეს შენიშნა კონდუქტორმა იოსებ გერესელიძემ, რომელმაც, რასაკვირველია, სისწრაფით გამოათრია და სიკვდილს გადაარჩინა.

---

## სასამართლოს მატიანე.

—

ტფილისის სასამართლო პალატამ მიუსაჯა უფლების ჩამორთმევა და ციმბირში გაგზავნა თ. სოლომონ ზებუთოვს, რომელსაც 996 მუხლში მოხსენებული დანაშაულობა ბრალდებოდა.

სენატმა ეს განაჩენი გააუქმა და საქმის გარჩევა მეორე დეპარტამენტს გადასცა.

—

დღეს, 19 დეკემბერს, ტფილისის ოლქის სასამართლო გაარჩევს საპატიო მოქალაქის დავრიშევ-კასპაროვსკისა და ტფილისის მცხოვრების სერგეი მილილოვის საქმეს, რომელთაც ბრალდებათ—პირველს: ძმათა მ. და გ. მირზოევების 40 ათასის მანათის უკვე ფულს გადახდილ თამასუქის შეძენა და მეორეს: ამ თამასუქის შესყიდვა.

---

## პეტერბურგის ბირჟა

კურსები დ ფონდები.

პეტერბურგი, 17 დეკემბერი 1896 წ.

ვექსელ. კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონისა 10 გირ. სტ—ში | 93,40 |
| ბერლინისა 100 მარკაში | 45,75 |
| პარიზისა 100 ფრანკში | — |
| მდგომარეობა ვექს. კურსისა | მშვიდია |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | 7,50 |
| ტამოჟ. კუპ. (100 მ. მეტ.) | 149 |
| ბირჟის დისკონტი | 5 3/4—7% |
| 4% სახელმწიფო რენტა | 99 1/4 |
| 4% შინაგანი სესხი 1 სერიისა | 98 1/8 |
| 4 1/2% „ „ 1893 წლ. | 101 1/8 |
| 4 1/2% გირავ. ფურც. სათ.-აზნ. სააღ.-მამულო ბანკისა | 101 1/8 |
| 4% „ „ „ „ „ | 97 1/2 |
| 4 1/2% მოწმ. საკრ. სააღ.-მამ. ბ. | 101 |
| 5% მომგ. ბილ. პირველ შ. სესხ. 1864 წ. | 294 |
| 5% მომგებ. ბილ. მეორე შ. სესხ, 1866 წ. | 255 1/2 |
| 5% მომგ. გირ. ფურ. სახელ. სათ.-აზნ. სააღ.-მამ. ბანკ. | 212 1/2 |
| „ ოქროს რენტა 1884 წ. | — |
| 4 1/2% გირ. ფურ. ურთ. შორის სააღ.-მამ. საკრ. საზოგად. | 155 |
| 5% სახელ. რკინ. გზ. რენტა | — |
| 4 1/2% კონსოლ. რკ. გზ. ოქრ. 1890 წლ. | 101 5/8 |
| „ „ 2 გამ. 1892 წლ. | 101 1/4 |
| 4% ობლ. კონ. რკ. გზ. ოქ. | 152 |
| 4 1/2% ობლიგ. კიევი-ვორონეჟ. რკინის გზ. | 101 3/4 |
| „ ობლ. რიაზ.-ურალ. რკ. გზ. | 101 |
| „ ობლ. სამხრ.-ალმოს. რკ. გზ. | 101 |
| 4% ობ. მოსკ.-კოზლ. რკ. გზ. | 97 |
| 4 1/2% სესხი ქ. პეტერბურგ. | 98 1/2 |
| 4 1/2% „ „ ქ. ოდესისა | 94 |
| 5% ობლ. პეტერ. საკრ. საზ. | 101 1/4 |
| 4 1/2% „ „ „ „ | 98 3/8 |
| 5% . . . . მოსკოვისა | 100 7/8 |
| 5 1/2% ობ. ოდეს. საკრ. საზ. | 100 3/8 |
| 5% „ „ | 100 1/4 |
| 5% ტფილისის | 98 |
| 5 1/2% გირავნ. ფურც. ხერს. | 100 1/2 |
| 5% სააღ. მამულო ბანკისა | 100 3/4 |
| 4 1/2% „ „ „ „ | 95 |
| 5% „ „ ბესარ.-ტავრ. სააღ.-მამულო ბანკ. | 100 3/4 |
| 4 1/2% „ „ | 94 5/8 |
| 5% ვილენის | 100 3/8 |
| „ დონისა | 100 3/8 |
| „ კიევისა | 101 1/8 |
| 4 1/2% „ „ | 95 5/8 |
| 5% მოსკოვისა | 101 |
| „ ნიჟ-სამარისა | 101 1/8 |
| „ პოლტავისა | 100 1/2 |
| 4 1/2% „ „ | 95 1/4 |
| 5% ტულისა | 100 7/8 |
| „ ხარკოვისა | 101 1/4 |
| 4 1/2% „ | 95 1/4 |
| 6% ტფილ. სააღ.-მამ. ბანკ. | 101 |
| 5% „ „ „ | 99 |
| 6% ქუთაის. სააღ.-მამ. ბანკ. | 101 |
| 5% „ „ „ „ | 99 |
| აქციები პეტერ. კერძო კომ. ბ. | 541 |
| „ პეტ. უჩოტ. და სესხ. | 737 |
| „ პეტ. ერთა-შორეზრივ. | 655 |
| „ რუსეთის შინაგ. ვაჭ. | 482 |
| „ ვოლგა-კამას კომერ. | 1325 |
| „ პეტერბ.-მოსკოვის კომ. | 423 |
| „ პეტ.-აზოვის კომ. | 420 |
| „ რუს. სავაჭ.-სამრ. ბან. | 383 |
| „ აზოვი-დონის კომ. ბან. | 633 |
| „ ვარშავ. კომერ. | 504 |
| „ მოსკოვ. საერთაშ. ბან. | 462 |
| „ ციმბირისა | 698 |
| „ ბეს.-ტავრ. სააღ.-მამ. ბ. | 635 |
| „ ვილენისა | 610 |
| „ დონისა | 710 |
| „ კიევისა | 785 |
| „ მოსკოვისა | 735 |
| „ ნიჟეგოროდ. და სამარის | 690 |
| „ პოლტავისა | 610 |
| „ პეტერ.-ტულ. სააღ.-მ. ბ. | 405 |
| „ ხარკოვის სააღ.-მ. ბან. | 480 |
| „ პეტერბ. განათ. საზოგ. | 135 1/2 |
| პაიები ძმ. ნობელის სანავთო საზოგად. | 9800 |
| აქციები „ „ „ | 490 |
| „ პუტელ. ქარხნის საზოგ. | 119 1/2 |
| „ ბრიანის რელს. მწარმ. მეტ. ქარხ. | 511 |
| აქციები ქარხ. საზ. „სორმ.“ | 213 |
| „ რუს. და ბელგ. მეტალ. | 275 |
| „ მალცევის ქარხნებისა | 638 |
| „ რუს. ოქრ. საზოგად. | 292 |
| „ რუს. დამზ. საზ. 1827 წ. | 1540 |
| „ „ „ „ 1835 წ. | 335 |
| „ დამზ. საზ. „სალამანდრა“ | 500 |
| „ პეტერ. დამზღ. საზოგ. | 440 |
| „ მოსკოვ. დამზღვ. საზოგ. | 825 |
| „ დამზღ. საზ. „როსსია“ | 392 |
| „ საზ. „რუსს. ლლოიდ“ | 1100 |
| „ რუს. საზოგ. საქონლის დაზღვ. და გაგზავნ. | 134 |
| „ დამზღვევი საზოგად. კ. „ნადეჟდა“ | 250 |
| „ რუს. საზოგ. სანავოსნო და სავაჭრო | 600 |
| „ საზ. „კავკაზ დ მერკურ“ | 445 |
| „ ნავოსნ. დნეპრზე | 93 |
| „ მოსკ.-ყაზანის რკ. გზ. | 495 |
| „ კიევი-ვორონეჟ. | 453 |
| „ რიბინსკისა | 171 |
| „ სამხრეთ-ალმ. რკინ. გზ. | 183 3/4 |

მდგომარეობა ფონდის ბაზრისა—მკვიდრია.


**Открыта подписка на 1897 годъ**

*(пятьдесятъ второй годъ изданія)*

**НА ГАЗЕТУ**

# „КАВКАЗЪ“.

Съ 1-го января 1897 года газета „КАВКАЗЪ“ будетъ издаваться подъ редакціей

## В. Л. ВЕЛИЧКО,

по значительно-расширенной программѣ.

Газета поставитъ себѣ задачею посильное содѣйствіе духовному и экономическому развитію Кавказскаго края, культурное сближеніе его съ основными, созидательными началами русской жизни и служеніе отечественнымъ интересамъ на Востокѣ.

I. ВЪ ОФИЦІАЛЬНОЙ части газеты будутъ помѣщаться; 1) Узаконенія, дѣйствія и распоряженія правительства; 2) Высочайшіе приказы; 3) приказы Главноначальствующаго гражданскою частью и командующаго войсками на Кавказѣ и вообще все то, что высшая администрація края найдетъ необходимымъ предложить напечатать.

II. ЧАСТЬ НЕОФИЦІАЛЬНАЯ, сообразно съ приведенной выше задачей газеты будетъ распадаться на три группы статей, объединенныхъ общимъ направленіемъ.

*А. Вопросы мѣстные.*

1) Наблюденіе за мѣстною жизнью, изслѣдованіе явленій, отражающихся на ся укладѣ, и всестороннее обсужденіе порождаемыхъ ими вопросовъ будутъ обусловливаться возможно болѣе раціональною организаціей отдѣла корреспонденцій не только изъ главныхъ пунктовъ края, но и изъ глухихъ его уголковъ, типичныхъ въ какомъ-либо отношеніи. Въ частности будетъ отведено подобающее мѣсто городской хроникѣ и Тифлиса, какъ центра кавказской жизни.

2) Передовыя статьи общаго и спеціальнаго характера, фельетоны серьезные и юмористическіе, въ прозѣ и стихахъ, тщательный обзоръ мѣстной русской и туземной публицистики послужатъ иллюстраціей къ матеріалу, приведенному въ 1-мъ пунктѣ. Особое вниманіе будетъ обращено на изслѣдованіе и выясненіе экономическихъ особенностей Кавказа: статьи по сельскому хозяйству, обрабатывающей промышленности, горному дѣлу и торговлѣ.

3) Постепенное развитіе статистики послужитъ для приведенныхъ отдѣловъ прочною основой.

4) Сознавая первостепенную научную и политическую важность кавказовѣдѣнія въ широкомъ смыслѣ этого слова, газета значительное мѣсто отведетъ статьямъ по естественной исторіи края, гражданской и военной исторіи его до и послѣ присоединенія къ Русской имперіи; изслѣдованіямъ, посвященнымъ этнографіи, фольклору, туземнымъ литературамъ въ ихъ прошломъ и настоящемъ, а также переводамъ лучшихъ туземныхъ произведеній.

Къ выполненію перечисленныхъ задачъ будутъ привлечены какъ мѣстные сотрудники, такъ и иные писатели и ученые, спеціально знакомые съ Кавказомъ.

*Б. Вопросы русской жизни и общекультурные.*

1) Связующимъ звеномъ между этою группой статей и предыдущею будетъ возможно-раннее и частое сообщеніе вѣстей изъ обѣихъ столицъ и другихъ крупныхъ пунктовъ Имперіи о тамошнемъ ходѣ административныхъ, общественныхъ, торговыхъ и судебныхъ дѣлъ, интересующихъ Кавказское общество. Столичныя вѣсти будутъ получаться отъ нѣсколькихъ спеціальныхъ корреспондентовъ, близкихъ къ различнымъ сферамъ.

2) Ежедневный обзоръ русской печати будетъ восполненъ разнообразными корреспонденціями, посвященными преимущественно типичнымъ явленіямъ русской жизни. Художественнымъ-же ея истолкованіемъ явится:

3) Беллетристическій отдѣлъ (повѣсти, разсказы, стихотворенія), значительному расширенію котораго будутъ содѣйствовать извѣстныя литературныя силы обѣихъ столицъ.

4) Критико-библіографическія замѣтки и фельетоны объ интересныхъ русскихъ и иностранныхъ книгахъ и ежемѣсячное журнальное обозрѣніе.

5) Популярныя статьи по философіи, вопросамъ религіознымъ, нравственнымъ, художественнымъ, государственнымъ и отвлеченно-научнымъ, какъ оригинальныя такъ и переводныя.

6) Театръ и музыка.

*В. Вопросы внѣшней политики и заграничной жизни.*

Этимъ вопросамъ будутъ посвящены:

1) Политическія корреспонденціи и телеграммы изъ Средней Азіи, Турціи, Персіи, Индіи, Болгаріи, Лондона, Парижа и Венеціи. Этотъ отдѣлъ, требующій особой осмотрительности, будетъ расширяться постепенно, по мѣрѣ возможности, равно какъ и

2) Заграничныя свѣдѣнія торговаго характера, имѣющія цѣлью содѣйствовать оживленію кавказской промышленности и торговли.

3) Передовыя статьи по восточному вопросу и періодическіе обзоры внѣшней политики, наряду съ ежедневными выдержками изъ иностранной печати.

4) Изрѣдка помѣщаемые очерки заграничной жизни.

Кромѣ всего перечисленнаго, въ программу „Кавказа“ будутъ включены всѣ остальныя рубрики, принятыя въ большихъ литературно-политическихъ газетахъ.

Подписная цѣна остается безъ измѣненія, а именно:

| Съ доставкою въ Тифлисѣ. | | Съ пересылкою иногороднымъ. | | По почтовому союзу. | |
|---|---|---|---|---|---|
| На годъ | 11 р. 50 к. | На годъ | 13 р.— | На годъ | 18 р. 40 к. |
| „ полгода | 6 р. — | „ полгода | 6 р.— | „ полгода | 10 р. — |
| „ 3 мѣс. | 3 р. 50 к. | „ 3 мѣс. | 4 р.— | „ 3 мѣс. | 6 р. — |
| „ 1 мѣс. | 1 р. 50 к. | „ 1 мѣс. | 1 р. 75 к. | „ 1 мѣс. | 2 р. — |

Разсрочка допускается для годовыхъ подписчиковъ по соглашенію съ редакціей, причемъ иногородными вносится по 3 руб. при подпискѣ, 1-го марта и 1-го мая и по ... руб.—1-го іюля и 1-го сентября; городскими—въ тѣ-же сроки: 3 р., 3 р., 2 р., 2 р. ... 1 р. 50 коп.

NB. Подписка и объявленія на 1897 годъ принимаются по нижеслѣдующему НОВОМУ АДРЕСУ:

Г. Тифлисъ, Эриванская площадь, домъ Харазовой, „Бюро подписки на газету „Кавказъ“ на 1897 годъ“.

Бюро **ОТКРЫТО** ежедневно, кромѣ воскресныхъ и праздничныхъ дней, отъ **9 часовъ утра до 3-хъ часовъ дня.** 6—6


Дозволено цензурою. Тифлисъ, 18 го Декабря, 1896 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხ. ხიკ. ქ. № 21. რედაქტორ-გამომცემელი ვალ. გუნ[illegible]